

საქართველოს პრეზიდენტს,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარეს,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

მოგმართავთ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის საქინე მოჰამადი აშთიანის სიკვდილით დასჯის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალად ცოლ-ქმრული ღალატი ედება.

43 წლის საქინე მოჰამადი აშთიანი, რომელიც ორი შვილის დედაა, ადულტერის ბრალდებით პირველად 2006 წელს გაასამართლეს და 99 როზგი მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანის მიუხედავად, 2007 წელს სასამართლომ ხელახლა განიხილა მისი საქმე და ჩაქოლვა მიუსაჯა. ამ დროისათვის საქინე აშთიანი თაბრიზის ციხეში ელოდება განაჩენის აღსრულებას.

საერთაშორისო ორგანიზაციის „ამნესტი ინტერნეიშენელის“ მონაცემებით, დღესდღეობით ირანში კიდევ 10 ადამიანი (მათ შორის 7 ქალი და 3 მამაკაცი) ელოდება სიკვდილით დასჯას.

ამასთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედი კანონები გამორჩეულად დისკრიმინაციულია ქალების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ადიულტერს ეხება. ეს წინააღმდეგობაში მოდის როგორც ირანის კონსტიტუციურ ვალდებულებასთან უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, ისე ირანის საერთაშორისო ვალდებულებებთან ადამიანის უფლებათა სფეროში, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტთან, რომელსაც ირანი 1976 წელს შეუერთდა.

საერთაშორისო ინსტიტუციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, საქინე აშთიანის სიკვდილით დასჯა 21 ივლისს 20 დღით გადაავადეს. მთელ მსოფლიოში აგორებულ საპროტესტო ტალღას, პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ. ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიუ ლულა და სილვამ და თურქეთის პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა, პირადად მიმართეს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადი ნეჟადის საქინე მოჰამადი აშთიანისათვის განაჩენის შეცვლის თხოვნით.

19 ივლისს, საქართველოს მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია მოაწყო საქინე აშთიანის განაჩენთან დაკავშირებით. 24 ივლისს, რომელიც „საქინეს საერთაშორისო დღედ“ გამოცხადდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 31 ქალაქში (მათ შორის თბილისსა და ბათუმში), ადამიანები, რომლებიც საქინეს სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძვიან, კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ პროტესტის გამოსახატავად.

ჩვენ ვაპირებთ, უფრო მასშტაბური სახე მივცეთ კამპანიას ადამიანთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და საქინე მოჰამად აშთიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

ჩვენი სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ფასეულობები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ქართველ ხალხს და ასევე საქართველოს ხელისუფლებას არა მხოლოდ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, არამედ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ამ ეტაპზე, როდესაც საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა ახალ საფეხურზე გადავიდა, ქვეყნებს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა სფეროში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააფიქსიროს მკაფიო პოზიცია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ადამიანთა სიკვდილით დასჯის, წამების, ადამიანის უფლებათა სისტემატიური შელახვისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დევნის წინააღმდეგ.

ამიტომაც გთხოვთ, დროულად მოუწოდოთ ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებას შეწყვიტოს ადამიანების და განსაკუთრებით ქალებისა და მოზარდების დევნა, წამება და სიკვდილით დასჯა.

პატივისცემით,